

## ტესტის სახელწოდება

ციტომეგალოვირუსის საწინააღმდეგო ანტისხეულების განსაზღვრა

## ტესტის ალტერნატიული დასახელება

ციტომეგალოვირუსი CMV IgM და CMV IgG

## რას იკვლევს მოცემული ანალიზი?

ციტომეგალოვირუსული ინფექცია ფართოდ გავრცელებული ვირუსული დაავადებაა, რომლის გამომწვევი მიეკუთვნება ჰერპეს ვირუსების ოჯახს და გვხვდება ყველა ასაკის ადამიანებში. ჯანმრთელ პირებში ციტომეგალოვირუსული ინფექცია ძირითადად უსიმპტომოდ და გართულებების გარეშე მიმდინარეობს, თუმცა ინფიცირების შემდგომ ვირუსი ლატენტური (ფარული) ფორმით რჩება ორგანიზმში მთელი სიცოცხლის განმავლობაში. დაავადების წყაროს წარმოადგენს ციტომეგალოვირუსით ინფიცირებული ადამიანის ბიოლოგიური სითხეები, როგორებიცაა სისხლი, შარდი, ნერწყვი, ცრემლი, სპერმა, დედის რძე და ა.შ. ინფექციის გავრცელება ხდება შემდეგი გზებით:

- პირდაპირი კონტაქტი (ნერწყვი, შარდი), განსაკუთრებით ჩვილებსა და ბავშვებში
- სქესობრივი კონტაქტი
- დედის რძით ჩვილებში
- სისხლის გადასხმისა და დაავადებული დონორის ორგანოთა ტრანსპლანტაციისას

## რატომ კეთდება გამოკვლევა?

CMV IgM და IgG ანალიზები ტარდება მწვავე, წარსულში გადატანილი ან რეაქტივირებული ციტომეგალოვირუსული ინფექციის დიაგნოსტიკისთვის.

## როდის ტარდება გამოკვლევა?

- ორსულებში ან იმუნოდეფიციტური მდგომარეობების მქონე პირებში გრიპის მსგავსი სიმპტომების ან ინფექციური მონონუკლეოზის მსგავსი სიმპტომების არსებობისას
  - ✓ დაღლილობა, სისუსტე
  - ✓ ყელის ტკივილი
  - ✓ გადიდებული ლიმფური კვანძები
  - ✓ ცხელება
  - ✓ თავისა და კუნთების ტკივილი
- ახალშობილებში ჯანმრთელობის სხვადასხვა პრობლემების არსებობისას, რომლებიც შეიძლება გამოწვეული იყოს ციტომეგალოვირუსული ინფექციით:
  - ✓ თანდაყოლილი ანომალიები
  - ✓ გაურკვეველი სიყვითლე ან ანემია
  - ✓ კრუნჩხვები
  - ✓ გადიდებული ღვიძლი ან ელენთა
  - ✓ მხედველობისა და სმენის პრობლემები
  - ✓ განვითარების შეფერხება
- ორგანოთა ტრანსპლანტაციისა და დონორობის დროს

**როგორ მოვემზადოთ ანალიზისთვის და რა არის საჭირო ანალიზის გასაკეთებლად?**

საჭიროა ვენიდან სისხლის აღება. ანალიზი არ საჭიროებს სპეციალურ მომზადებას.

**შედეგების ინტერპრეტაცია:**

ანალიზის შედეგების ინტერპრეტაცია კეთდება ექიმის მიერ.

**IgM (მწვავე ფორმა) უარყოფითი** - მიუთითებს მწვავე ან აქტიური ვირუსული ინფექციის არარსებობას.

**IgM (მწვავე ფორმა) დადებითი** - მიანიშნებს ბოლოდროინდელ ინფექციაზე (პირველადი ინფექცია, რეაქტივაცია ან რეინფექცია)

**IgG (ქრონიკული ფორმა) უარყოფითი** - მიუთითებს მიმდინარე ან წინამდებარე ინფექციის არარსებობას

**IgG (ქრონიკული ფორმა) დადებითი** - წარსულში გადატანილ ან მიმდინარე ციტომეგალოვირუსულ ინფექციაზე მეტყველებს.

IgG და IgM დადებითი შედეგები დაავადების კლინიკურ ნიშნებთან ერთად მიუთითებს პირველად ინფექციას ან წარსულში გადატანილი ინფექციის რეაქტივაციას. მისი დადასტურება ხდება IgG ანტისხეულების დონის გადამოწმებით 1-3 თვის შემდეგ. IgG ანტისხეულების მაღალი მაჩვენებელი იმდენად მნიშვნელოვანი არაა, რამდენადაც მისი დონის მატება. როდესაც აღინიშნება IgG ანტისხეულების 4-ჯერ მატება პირველ და მეორე ანალიზებს შორის; ეს მიუთითებს აქტიურ ციტომეგალოვირუსულ ინფექციაზე (პირველადი ან რეაქტივირებული ფორმა).

დადებითი IgM და უარყოფითი IgG - ბოლოდროინდელი ინფიცირების მანიშნებელია (პირველადი, რეკურენტული ან რეინფექცია).

IgM და IgG ანტისხეულების უარყოფითი ან დაბალი მაჩვენებელი მიუთითებს მწვავე ციტომეგალოვირუსული ინფექციის არარსებობას, სიმპტომები სხვა ინფექციითაა გამოწვეული, ან იმუნური სისტემა არ რეაგირებს ნორმალურად (იმუნოდეფიციტური მდგომარეობები).